

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ,  
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

ოქმი N 5

ქ.ვანი, თავისუფლების ქ. N65

3 მაისი 2019 წელი  
12 : 00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გელა ჩიკვაძე, გიორგი ივანიაძე, კობა ტოხვაძე, ვარლამ გიორგაძე, რამაზ არველაძე, გელა ვარდოსანიძე, თამარ შენგელია.

საკატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ: შალვა ლორთქიფანიძე, ოლეგი მიქელთაძე,

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

/დანართი N1/

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - გელა ჩიკვაძე (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - ლუბა კიკაბიძე

## დღის წესრიგი

1.,,ვანის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ძირითადი საშუალებების გასხვისებისა და სარგებლობის უფლების გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: გელა ჩიკვაძე

2.,,ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეინდრის N3 და N4 ქუჩებისათვის 2011 წელს ავღანეთში სამხედრო-სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული რეზო ბერიძის („დინჯი“) სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე“;

მომხსენებელი: გელა ვარდოსანიძე

3.,,ქალაქ ვანში თამარ მეფის ქუჩა N2-ში მდებარე შენობის მეორე სართულზე განთავსებულ საჭადრაკო კლუბისთვის ნინო ხურციძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი ივანიაძე

4.,,სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუამთას საჯარო სკოლისათვის ტიციან ტაბიძის სახელის მინიჭების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი ივანიაძე

5. სხავდასხვა.

**გადაწყვეტის:** დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

**მოისმინეს :**

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაძემ კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი - ვანის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ძირითადი საშუალებების გასხვისებისა და სარგებლობის უფლების გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“ .

კომისიის წევრებმა განიხილეს წარმოდგენილი საკითხი და აღნიშნეს, რომ ძირითადი კორექტირება საჭირო არის აღნიშნული საკითხის ბოლო მუხლში.

კომისიის წევრების მხრიდან სხვა მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

მომხრე - 7

წინააღმდეგი - არცერთი

**დაადგინეს:**

კომისიამ განიხილა და მახარი დაუჭირა ვანის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ძირითადი საშუალებების გასხვისებისა და სარგებლობის უფლების გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვას.

/დანართი 2/

**მოისმინეს :**

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს გააცნო „ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეინდრის N3 და N4 ქუჩებისათვის 2011 წელს ავღანეთში სამხედრო-სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული რეზო ბერიძის („დინჯი“) სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2011 წელს ავღანეთში სამხედრო-სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული რეზო ბერიძის (დინჯი) სახელი მიენიჭოს სოფ. ზეინდრის N3 და N4 ქუჩებს. წარმოდგენილა საკითხმა გაიარა ყველა საჭირო პროცედურა.

კომისიის წევრების მხრიდან მოსაზრებები არ დაფიქსირებულა

კომისიის თავმჯდომარემ წარმოდგენილი მეორე საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 7

წინააღმდეგი - არცერთი

**დაადგინეს:**

დამტკიცდეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეინდრის N3 და N4 ქუჩებისათვის 2011 წელს ავღანეთში სამხედრო-სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული რეზო ბერიძის („დინჯი“) სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე“;

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

*/დანართი N 3/*

**მოისმინეს :**

დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიაძემ კომისიის წევრებს გააცნო „ქალაქ ვანში თამარ მეფის ქუჩა N2-ში მდებარე შენობის მეორე სართულზე განთავსებულ საჭადრაკო კლუბისთვის ნინო ხურციძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელმა აღნიშნა, ნინო ხურციძე წარმატებული ვანელი ვანელი მოჭადრაკე იყო, წარმოშობით სოფ. ძულუხიდან, საჭადრაკო კლუბისთვის მისი სახელის მინიჭება მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს. კომისიის წევრებმა მოიწონეს წარმოდგენილი მესამე საკითხი.

კომისიის თავმჯდომარემ წარმოდგენილი მესამე საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 7

წინააღმდეგი - არცერთი

**დაადგინეს:**

დამტკიცდეს განკარგულება „ქალაქ ვანში თამარ მეფის ქუჩა N2-ში მდებარე შენობის მეორე სართულზე განთავსებულ საჭადრაკო კლუბისთვის ნინო ხურციძის სახელის მინიჭების შესახებ“;

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

*/დანართი N 4/*

**მოისმინეს :**

დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიაძემ კომისიის წევრებს გააცნო „სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუამთას საჯარო სკოლისათვის ტიციან ტაბიძის სახელის მინიჭების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე“;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შუამთის სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრებისგან შემოვიდა ინიციატივა, რომ შუამთის საჯარო სკოლას ეწოდოს ტიციან ტაბიძის სახელი. შუამთის სკოლა წარსულში ატარებდა ტიციან ტაბიძის სახელს. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აქვს უფლება თანხმობის მისცეს სსიპ მუნიციპალიტეტის სოფ. შუამთის სკოლას ეწოდოს ტიციან ტაბიძის სახელი.

დღის წესრიგით მეოთხე საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

კომისიის თავმჯდომარემ წარმოდგენილი მეოთხე საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 7  
წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს:

მიეცეს თანხმობა „სსიპ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ შუამთას საჯარო სკოლისათვის ტიციან ტაბიძის სახელის მინიჭების შესახებ თანხმობის მიცემას.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

*/დანართი N 3/*

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

გელა ჩიკვაძე

საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო,  
საპროცედურო საკითხთა და ეთიკის  
კომისიის სხდომის თავმჯდომარე